საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 726 2005 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე

(11.10.2006 N 595)

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სფეროს მოწესრიგების მიზნით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:*(11.10.2006 N 595)*

1. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 135 ლარით. *(24.11.2007 N662 2008 წლის 1 იანვრიდან)*

2. დამტკიცდეს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (დანართი N1);

ბ) ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (დანართი N 2);*(11.10.2006 N 595)*

ბ^1) თვითმმართველი ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (დანართი N 2^1); *(30.05.2007 N338)*

გ) თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქ. თბილისისა და ქ.ბათუმისა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (დანართი N3); *(30.05.2007 N338)*

დ) მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (დანართი N 4).*(11.10.2006 N 595)*

ე) ამოღებულია *(11.10.2006 N 595)*

3. ბრძანებულება ამოქმედდეს 2005 წლის 1 სექტემბრიდან.

მიხეილ სააკაშვილი

დანართი N 1 *(29.12.2007 N729)*

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების

ზედა ზღვარი

N	1. თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარობით)
1.	მთავრობის თავმჯდომარე	3310
2.	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	3070
3.	მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე	2950
4.	მთავრობის წევრი (მინისტრი)	2720
5.	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის (ფრაქციის) თავმჯდომარე	2360
6.	უმაღლესი საბჭოს კომიტეტის (ფრაქციის) თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრის პირველი მოადგილე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, მთავრობის აპარატის უფროსი	2130
7.	უმაღლესი საბჭოს წევრი (დეპუტატი), მინისტრის მოადგილე	1950
8.	სხვა მთავარი საჯარო თანამდებობის პირი	1770
9.	წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი	1540
10.	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	1070
11.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	590

2.

დანართი N 2 *(8.07.2010 N 481)*

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი

ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი

სარგოების ზედა ზღვარი

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი (ლარობით)

1.	ქ. თბილისის მერი	3540
2.	ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე	3540
3.	ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	2950
4.	ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)	2950
5.	ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2850
6.	ქ. თბილისის მერის მოადგილე	2750
7.	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი	2500
8.	ქ. თბილისის რაიონის გამგებელი	2350
9.	ქ. თბილისის საქალაქო სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსი, ქ. თბილისის საქალაქო სამსახურის დეპარტამენტის უფროსი - ქალაქის მთავარი არქიტექტორი	2350
10.	ქ. თბილისის საკრებულოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე	2350
11.	ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2350
12.	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე; ქ. თბილისის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე	1700
13.	ქ. თბილისის რაიონის გამგებლის მოადგილე; გამგეობის რაიონული სამსახურის ხელმძღვანელი - გამგებლის წარმომადგენელი	1600
14.	ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე	1600
15.	ქ. თბილისის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე	1600
16.	სხვა წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი	1400
17.	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი *(16.11.2011 N729)*	1250
18.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი *(16.11.2011 N729)*	950

,დანართი №2[1] *(7.07.2010 N 476)*

ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარობით)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე, მერი	2750
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	მერის მოადგილე	2050
4.	მერიის ადმინისტრაციის (აპარატის) უფროსი, სამსახურის უფროსი, ქ.ბათუმის მთავარი არქიტექტორი, საკრებულოს აპარატის უფროსი	1650
5.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
6.	წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი	1350
7.	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	900
8.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	600.

დანართი №3 *(12.10.2012 N 945)*

თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქ. თბილისისა და ქ. ბათუმისა) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარობით)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე, მერი	2750
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2150
3.	მერის მოადგილე	2050
4.	სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსი	1490
5.	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	1250
6.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე *(19.10.2012 N 961)*	1500
7.	სამსახურის უფროსის მოადგილე, მერის თანაშემწე, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	800
8.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	580

დანართი №4 *(12.10.2012 N 945)*

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარობით)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე *(19.10.2012 N 961)*	1700
3.	გამგებლის მოადგილე *(19.10.2012 N 961)*	1300
4.	სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული *(19.10.2012 N 961)*	1000
5.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე *(19.10.2012 N 961)*	1350
6.	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
7.	გამგებლის თანაშემწე, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	790
8.	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	560.

დანართი N 5 ამოღებულია*(11.10.2006 N 595)*